საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN7

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

03 დეკემბერი 2024 წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე ,3.ჯემალი ისაკაძე, 4. იზა მაგრაქველიძე; 5. გიორგი ბარათაშვილი ; 6. კობა კაცაძე 7.ომარი ჯიხვაშვილი;

სხდომას არ ესწრებოდა: რუსუდან კოვზირიძე, დავით ცხადაძე, ნატალია ასათიანი, ეკა ბერძენიშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე;

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 7 წევრი.

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'</u>

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 დეკემბრის N24 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი კონკურსის პირობების და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე; (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282433444 წერილი, 29.11.2024 წ);

მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N 19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

3. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-2824337105 წერილი, 02.12.2024 წ);

მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 7, წინააღმდეგი-არცერთი;

<u>დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 დეკემბრის N24 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი კონკურსის პირობების და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს განუმარტა, რომ ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი კონკურსის პირობების და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 დეკემბრის N24 დადგენილების შესაბამისად მუნიციპალიტეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი კონკურსის პირობების ერთ- ერთ მუხლად მითითებული იყო აღნიშნული სადეპოზიტო ნაშთებზე სარგებელის ოდენობა არანაკლებ 10%-ისა, იმ დროისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შეადგენდა 12 მლნ ლარს, იმის გამო რომ ყოველწლიურად იზრდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მასშტაბები და დღეისათვის ბრუნვა შეადგენს 35 მლნ-ზე მეტ ლარს, რაც განაპირობებს თავისუფალი რესურსების მკვეთრ ზრდას ნაშთების სახით მიზანშეწონილად მიგვაჩნია რომ, ათვლა დაიწყოს არანაკლებ 16 %- დან, რაც განაპირობებს საბიუჯეტო შემოსავლების მკვეთრ ზრდას.

მომხსენებელმა ასევე კომისიის წევრებს გააცნო ბანკის შესარჩევი კონკურსის პირობები, ჩატარების წესი და გააცნო წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: ჯემალ ისაკაძემ, კობა კაცაძემ;
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 7, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი კონკურსის პირობების და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტი; ასევე ძალადაკარგულად გამოცხადდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 დეკემბრის N24 დადგენილება;

მუხლი 2. საკრებულოს განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

2. მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო საკრებულოს დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

აზრი გამოთქვეს: გიორგი ბარათაშვილმა;
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 7, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. დასამტკიცებლად წარედგინოს დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას;

3. მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო საკრებულოს დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებისა და ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი დაფინანსებით მომდევნო წლის 01 იანვრიდან ხორციელდება საჯარო დაწესებულებებში თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეების სახელფასო განაკვეთების 10%-იანი ზრდა.

აქედან გამომდინარე ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვარი N14 დადგენლებაში ცვლილების მიზანია, მერიაში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება შესაბამისობაში იყოს შრომის ანაზღაურების სისტემის ძირითად პრინციპებთან.

აღნიშნული ცვლილების განხორციელებისათვის საჭირო შესაბამისი დაფინანსება განსაზღვრულია 2025 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში.

აზრი გამოთქვეს: აზრი არავის გამოუთქვამს;
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 7, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. დასამტკიცებლად წარედგინოს დადგენილების პროექტი „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას;

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ვ. ...